თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2018 წლის 25 იანვრის სხდომის ოქმი #2

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი, პროფ. თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი–23, სტუდენტი – 5, სულ–28 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ

/ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფ. თ. ბერიძე/

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ბიზნეს-ეთიკის ცენტრის შესახებ

/ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფ. თ. ბერიძე/

5. მიმდინარე საკითხები

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 28**
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 25 იანვრის #2 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნეს სკოლის 2004 წლის კურსდამთავრებულ ნათია ხუხიას დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, მ. ჩავლეიშვილი/

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა კავკასიის ბიზნეს სკოლის 2004 წლის კურსდამთავრებულ **ნათია ხუხიას** დიპლომის დანართის მომზადება. დანართის მომზადების პროცესში საჭირო გახდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა. თსუ სასწავლო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ნათია ხუხია 1999 წელს ჩაირიცხა საქართველო ტექნიკურ უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სპეციალობაზე (ბრძანება №995/05, 05.08.1999)

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბატონ კახა შენგელიას წერილიდან (№304-CU-02, 17.11.2017) ირკვევა, რომ ნათია ხუხიამ 2001 წლიდან პარალელურ რეჟიმში სწავლა გააგრძელა კავკასიის ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე „ფინანსების“ სპეციალობით, რომელიც 2004 წელს დაამთავრა.

შენიშვნა: *ჩარიცხვის ბრძანების ნომერი მითითებულია მხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოებულ სტუდენტის სასწავლო გარათზე. აღნიშნული ბრძანება არ იძებნება არც თსუ არქივში და არც კავკასიის უნივერსიტეტში დაცულ საარქივო მასალებში.*

როგორც, ცნობილია კავკასიის ბიზნესის სკოლა დაფუძნდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და თბილისის ეკონომიკური ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი კონსორციუმის მიერ (ბრძანება №07-52, 21.07.2001). კონსორციუმის ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, თსუ რექტორის 2004 წლის 20 ოქტომბერის №4/1336 ბრძანებით ნათია ხუხიას მიენიჭა ***ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი*** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

კავკასიის ბიზნესის სკოლის 2001-2010 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი №CSB-B №000066 (სარეგისტრაციო №04/0066) 65-ე რიგით ნომრად რეგისტრირებულია ნათია რევაზის ასული ხუხიას სახელზე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლის მიერ ნათია ხუხიას სახელზე გაცემულ დიპლომში მითითებულია, რომ **„ნათია ხუხია 2001 წელს ჩაირცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლაში და 2004 წელს დაამთავრა აღნიშნული სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატის სრული კურსი ფინანსების და საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობით. სახელმწიფო საატესტაციო კომისიის 2004 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალვრის აკადემიური ხარისხი“** *(ბაკალავრის დიპლომი №CSB-B №000066, სარეგისტრაციო №04/0066)*.

თსუ არქივიდან და კავკასიის ბიზნესის სკოლიდან წარმოდგენილ საარქივო მასალებში არ იძებნება „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ მიერ 2004 წლის 16 აგვისტოს საკვალიფიკაციო სხდომის ოქმი, რომლის საფუძველზეც ნათია ხუხიას მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

კავკასიის ბიზნესის სკოლის მიერ ნათია ხუხიას სახელზე წარმოებულ სტუდენტის სასწავლო ბარათსა და ახალ ფორმაში მომზადებულ დიპლომის დანართში დაფიქსირებულ სასწავლო კურსებს შორის არის შეუსაბამობები. კერძოდ, სასწავლო ბარათში სტუდენტს ათვისებული ჰქონდა 192 კრედიტი, ახალი ფორმის დიპლომის დანართში დაფიქსირებული იყო 240 კრედიტი. კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბატონ კახა შენგელიას წერილში (№304-CU-02, 17.11.2017) ცალ-ცალკეა დაჯგუფებული ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამიდან კავკასიის ბიზნესის სკოლაში გავლილი სასწავლო კურსები (120 კრედიტი) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გავლილი სასწავლო კურსები, რომელიც ჩაითვალა გავლილად (120 კრედიტი). ამასთან, პირადი საქმიდან წარმოდგენილ ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოებული სტუდენტის სასწავლო ბარათში (1999-2000 სასწავლო წლები) დაფიქსირებული სასწავლო კურსები არ არის შესაბამისობაში წერილში დაფიქსირებულ სასწავლო კურსებთან. კერძოდ:

1. სასწავლო კურსები: „კრიტიკული აზროვნება“, „ალგებრის საწყისი კურსი“, „ქართული სიტყვიერება (რიტორიკა)“ და „მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის შესავალი“ არ არის შეტანილი ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოებულ სტუდენტის სასწავლო ბარათში, თუმცა, წერილიდან

ირკვევა, რომ აღნიშნული საგნები სტუდენტმა აითვისა ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლისას;

2. სასწავლო კურსები: „დისკრეტული მათემატიკა“, „კომპიუტერული ბაზის მქონე საინფორმაციო სისტემების შესავალი“ და „განზოგადების მოდელირების ტექნიკა“ არ არის დაფიქსირებული არც ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტის სასწავლო ბარათში და არც კავკასიის ბიზნესის სკოლის მიერ წარმოებულ სასწავლო ბარათში. თუმცა, აღნშნული საგნები შეტანილია კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ახალ ფორმაში მომზადებულ დიპლომის დანართში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არის შეუსაბამობა ტექნიკურ უნივერსიტეტში გავლილ სასწავლო კურსებსა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მიერ ჩათვლილ სასწავლო კურსებს შორის. მაგალითად, ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტს საგანი „მათემატიკა“ გავლილი აქვს 36 საათის (4 კრედიტი) მოცულობით და მიღებული აქვს შეფასება „კარგი“. გაურკვეველია, აღნიშნული საგანი რომელ სასწავლო კურსში ჩაეთვალა გავლილად:

1. ალგებრის საწყისი კურსი (6 კრედიტი) - შეფასება 85;
2. დისკრეტული მათემატიკა (6 კრედიტი) - არ არის დაფიქსირებული კავკასიის ბიზნესის სკოლის მიერ წარმოებულ სტუდენტის სასწავლო ბარათში, ხოლო შეტანილია დიპლომის დანართში შეფასება 85;
3. უმაღლესი მათემატიკის შესავალი (6 კრედიტი) - არ არის დაფიქსირებული კავკასიის ბიზნესის სკოლის მიერ წარმოებულ სტუდენტის სასწავლო ბარათში, ხოლო შეტანილია დიპლომის დანართში შეფასება 85).

სტუდენტის სასწავლო ბარათიდან ირკვევა, რომ ნათია ხუხიას ათვისებული აქვს 192 კრედიტი, რაც არ არის საკმარისი ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2001 წლის 18 სექტემბრის ბრძანებიდან ჩანს, რომ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად ერთი (ძირითადი) სპეციალობით (სპეციალობის სპეციფიკის გათვალისწინებით) სტუდენტმა უნდა შეასრულოს 205-215 კრედიტი *(ბრძანების საფუძველი: თსუ სამეცნიერო საბჭოს 2001 წლის 10 სექტემბრის დადგენილება (ოქმი №1). იხ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2003 წელს გამოცემული „ნორმატიული დოკუმენტების კრებული“. გვ. 89.).*

ზემოაღნიშნული ფაქტები წერილობით ეცნობა კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს, ბატონ კახა შენგელიას და მოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტები (მ.შ. კავკასიის ბიზნესის სკოლაში პარალელურ სწავლებაზე ჩარიცხვის ბრძანების ასლი, კვალიფიკაციის მინიჭების საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმი და კრედიტების აღიარების/თავსებადობის დამადასტურებელი

დოკუმენტი იმ სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც კურსდამთავრებულმა შეისწავლა ტექნიკურ უნივერსიტეტში და არ იქნა ასახული კავკასიის ბიზნესის სკოლის მიერ წარმოებულ სტუდენტის სასწავლო ბარათში).

ბატონი კახა შენგელიას წერილობითი პასუხიდან ირკვევა, რომ თბილისის სახელმწიფო უნიევსრიტეტის კავკასიის ბიზნესის სკოლაში პარალელურ სწავლებაზე ჩარიცხვის ბრძანება და კვალიფიკაციის მინიჭების საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმი (2004 წელი, 16 აგვისტო) კავკასიის უნივერსიტეტში დაცულ არქივში არ იძებნება. რაც შეეხება სტუდენტის მიერ ტექნიკურ უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტზე შესწავლილი სასწავლო კურსების თავსებადობას კავკასიის ბიზნესის სკოლის პროგრამასთან წარმოდგენილ იქნა შემდეგი სახით:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი **ჰუმანუტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი**	**თსუ კავკასიის ბიზნესის სკოლა**
დაპროგრამების საფუძვლები *(I სემესტრი, 54 სთ. ჩთ.)*	კომპიუტერული ბაზის მქონე საინფორმაციო სისტემების შესავალი *(6 კრედიტი, ქულა - 75)*
დაპროგრამების საფუძვლები *(II სემესტრი, 54 სთ. ფრიადი)*	განზოგადებული მოდელირების ტექნიკა *(6 კრედიტი, ქულა - 95)*
უცხო ენა (ლექსიკა) *(I სემესტრი, 34 სთ. კარგი)*	ინგლირუი აკადემიური წერა *(12 კრედიტი, ქულა - 85)*
უცხო ენა (გრამატიკა) *(IV სემესტრი, 34 სთ. ჩთ.)*	ინგლისური ენა I *(12 კრედიტი, ქულა 75)*
უცხო ენა (ლექსიკა) *(III სემესტრი, 34 სთ. ჩთ. ფრიადი)*	ინგლისური ენა II *(12 კრედიტი, ქულა - 95)*
უცხო ენა (გრამატიკა) *IV სემესტრი, 34 სთ. ჩთ. ფრიადი)*	ინგლისური ენის გაძლიერებული კურსი *(12 კრედიტი, ქულა - 95)*
ქართული და მსოფლიო კულტურის ისტორია *(IV სემესტრი, ჩთ.)*	მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის შესავალი *(6 კრედიტი, ქულა - 75)*

საქართველოს ისტორია *(II სემესტრი, 25,5 სთ. ფრიადი)*	საქართველოს ისტორია *(6 კრედიტი, ქულა - 95)*
მათემატიკა *(I სემესტრი, 36 სთ. კარგი)*	ალგებრის საწყისი კურსი *(6 კრედიტი, ქულა - 85)*
	უმაღლესი მათემატიკის შესავალი *(6 კრედიტი, ქულა - 85)*
	დისკრეტული მათემატიკა *(6 კრედიტი, ქულა - 85)*
ფილოსოფია *(II სემესტრი, 36 სთ. კარგი)*	კრიტიკული აზროვნება - ფილოსოფია *(6 კრედიტი, ქულა - 85)*
პოლიტოლოგია *(IV სემესტრი, 19 სთ. ჩთ. ფრიადი)*	პოლიტიკური მეცნიერების შესავალი *(6 კრედიტი, ქულა - 95)*
ფსიქოლოგია *(II სემესტრი, 19 სთ. ჩთ., კარგი)*	ზოგადი ფსიქოლოგიის შესავალი *(6 კრედიტი, ქულა - 85)*
სოციოლოგიის ისტორია *(III სემესტრი, 34 სთ. ფრიადი)*	სოციოლოგიის შესავალი *(6 კრედიტი, ქულა - 95)*
ქართული ენა და ლიტერატურა *(II სემესტრი, 19 სთ. ჩთ.)*	ქართული სიტყვიერება (რიტორიკა) *(6 კრედიტი, ქულა - 75)*

წარმოდგენილი სასწავლო კურსების თავსებადობით კურსდამთავრებულისთვის განისაზღვრა დიპლომისთვის საჭირო კრედიტების რაოდენობა.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იძებნება ნ. ხუხიასთვის თსუ კავკასიის ბიზნესის სკოლის კვალიფიკაციის მინიჭების საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმი, რაც საფუძველია დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნისათვის. ამიტომ, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე კავკასიის ბიზნესის სკოლის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და დიპლომის ფორმისთვის

განსაზღვრული რეკვიზიტები პირობითად განისაზღვროს რექტორის ბრძანების საფუძველზე. კერძოდ, გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2004 წლის 20 ოქტომბერი*** და ოქმის ნომრად ***№1336/3***.

როგორც ავღნიშნეთ, კურსდამთავრებულ ნ. ხუხიას დოკუმენტაციაში არ იძებნება კავკასიის ბიზნესის სკოლაში პარალელურ რეჟიმში ჩარიცხვის ბრძანება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, დიპლომისა და შესაბამისად, მისი დანართის მომზადება ითვალისწინებს **ჩარიცხვის ბრძანებისა** თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. გამომდინარე აქედან, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვერ მოახდენს ნათია ხუხიასთვის დიპლომის დანართის მომზადებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 28**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დაადგინა:

1. აღდგენილად ჩაითვალოს კავკასიის ბიზნესის სკოლის ბაკალავრიატის 2004 წლის კურსდამთავრებულ ნათია ხუხიას დიპლომის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემები და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2004 წლის 20 ოქტომბრის №4/1336 ბრძანებით 2004 წლის კურსდამთავრებულ ნათია ხუხიასთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2004 წლის 20 ოქტომბერი*** და ოქმის ნომრად ***№1336/3***.
2. ყოფილი კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტირირების საბაკალავრო პროგრამის „ფინანსების“ სპეციალობის 2004 წლის კურსდამთვრებულის ნ. ხუხიას შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი და არ იძებნება კავკასიის ბიზნესის სკოლაში პარალელურ რეჟიმში ჩარიცხვის ბრძანება, ამიტომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას და შესაბამისად ვერ მოახდენს ნათია ხუხიასთვის დიპლომის დანართის მომზადებას.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ეთერ ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ქალბატონ ი. მშვენიერაძის წერილი (771-29-3-201801171122), რომლითაც ფაკულტეტის საბჭოს წინაშე იგი ითხოვს შუამდგომლობას, რათა მიენიჭოს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ,,ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს - სხილაძე თიკას (პ/ნ 01005015600.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქამს.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 28**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ,,ეკონომიკის" საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს - სხილაძე თიკას (დიპლომი ჩვეულებრივი, პ/ნ 01005015600).

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ

/ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფ. თ. ბერიძე/

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წინაშე აყენებს საკითხს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 28**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლი „ბ“ ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-20 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 დეკემბრის №135/2013 დადგენილების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ადგენს:

1. გამოცხადდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ჩატარდეს 2018 წლის 30 მარტს 12:00 საათიდან 15:00 საათამდე;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველ კანდიდატთა განცხადებების მიღება განხორციელდეს 2018 წლის 5 მარტიდან 20 მარტის ჩათვლით (9:00 საათიდან 17:00 საათამდე) მისამართზე: თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქ. №2, X (მაღლივი) კორპუსი, ოთახი №310.
4. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ფაკულტეტის საბჭოს სახელზე (განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი მისამართი,

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, სასურველი თანამდებობის ზუსტი დასახელება.)

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) 2 (ორი) ფოტოსურათი (3X4);

ე) ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია (არაუმეტეს 5 გვერდი);

ვ) ცნობა სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ზ) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ბიზნეს-ეთიკის ცენტრის შესახებ

/ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი, პროფ. თ. ბერიძე/

ბატონმა თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების საქმიანობის ანგარიშიდან გამომდინარე, მათი საქმიანობა მეტად მნიშვნელოვანია. მან მოკლედ დაახასიათა ცენტრების საქმიანობის ძირითადი მიზნები და იმედი გამოთქვა, რომ სამომავლოდ მათი საქმიანობის მასშტაბები უფრო გაფართოვდება. დეკანმა ისაუბრა ბიზნეს-ეთიკის პრობლემატიკისა და სტუდენტებისადმი მისი მიწოდების მნიშვნელობაზე. ბიზნეს-ეთიკის ცენტრს ხელმძღვანელის გარდაცვალების გამო დღის წესრიგში დადგა ახალი ხელმძღვანელის დანიშვნის საკითხი. მისი ინიციატივით და კოლეგებთან შეთანხმებით გადაწყდა რომ ეს თანამდებობა შეთავაზებულ იქნას პროფ. ი. ხელაშვილისთვის (ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი). მან ისაუბრა პროფ. ი. ხელაშვილის მიღწევებზე, მის აკადემიურ და ბიზნეს გამოცდილებაზე, ასევე პიროვნულ ფაქტორებზე. დეკანმა იმედი გამოთქვა, რომ ცენტრების განვითარების და ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით მათ საქმიანობაში ჩაერთვებიან პროფესორები უცხოეთიდანაც.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თ. შენგელიამ, აკად. ა. სილაგაძემ, ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილმა, პროფ. ი. ხელაშვილმა.

პროფ. თ შენგელია - მან აღნიშნა, რომ ბიზნეს ეთიკა, როგორც სასწავლო კურსი ისწავლება საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე. მან ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ ცენტრის დაფუძნების საქმიანობაში მას აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული.

აკად. ა. სილაგაძე - მან აღნიშნა, რომ ბიზნეს-ეთიკის ცენტრის დებულება შეიცავს ბევრ უზუსტობას. მან ჩაიკითხა აღნიშნული დებულების მუხლები, პუნქტები და ქვეპუნქტები, რომლის დამუშავებაც არის აუცილებელი. აკად. ა. სილაგაძემ დააყენა საკითხი, ცენტრის ხელმძღვანელის შეცვლასთან ერთად მოხდეს ბიზნეს-ეთიკის ცენტრის დებულების დამუშავდება და დახვეწება.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 28**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ბიზნეს-ეთიკის ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნოს პროფ. ი. ხელაშვილი;
2. დაევალოს პროფ. ი ხელაშვილს ბიზნეს-ეთიკის ცენტრის დებულების დამუშავდება და განახლებული ვერსიის წარმოდგენა.

მოისმინეს: პროფ. ელენე ხარაბაძის განცხადების განხილვა ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების შესახებ.

/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს წინაშე განსახილველად შემოსულია პროფესორ ელენე ხარაბაძის განცხადება ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების შესახებ. მან ისაუბრა პროფესორ ელენე ხარაბაძის ღვაწლზე, მისი სასწავლო-სამეცნიერო და ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. ხადურმა, პროფ. თ. შენდელიამ, პროფ. ი. კოვზანაძემ, პროფ. ე. ხარაბაძემ.

გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს პროფესორ ელენე ხარაბაძის დამსახურებას სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული საქმიანობის მიმართულებით.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 28
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭო უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად შუამდგომლობს პროფესორ ელენე ხარაბაძისთვის:
   1.1. ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭებას;
   1.2. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრას უნივერსიტეტში არსებული პროფესორის ყველაზე დაბალი თანამდებობრივი სარგოს 90%-სა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებული პროფესორის ყველაზე დაბალი თანამდებობრივი სარგოს 50 %-ს ოდენობით.

მოისმინეს: თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ძირითადი და დამატებითი დატვირთვის ანაზღაურების შესახებ.

/ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში ა. მიქაბერიძე/

ბატონმა ა. მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №112/2013 განსაზღვრავს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობასა და პირობებს. ასევე, 2015 წლის ფაკულტეტის საბჭოს #9 სხდომაზე დამტკიცდა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის დამატებითი საათების განაწილების წესი. თუმცა, დღის წესრიგში დადგა საკითხი, მოხდეს თუ არა აკადემიური პერსონალის მიერ დამატებითი საათების ანაზღაურება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, თუ ისინი დამატებით საათებს ატარებენ სხვა ფაკულტეტებზე.

ბატონმა ა. მიქაბერიძემ საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შრომითი ხელშეკრულებითა და თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული ძირითადი დატვირთვის, ეკონომიკისა და ბიზნესის

ფაკულტეტზე შესრულების შესაძლებლობის შემთხვევაში, თსუ-ის სხვა ფაკულტეტებზე დამატებითი საათობრივი დატვირთვისთვის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან არ მოხდეს შრომითი ანაზღაურების გაცემა.

აზრი გამოთქვეს: პროფ. თ. ბერიძემ, პროფ. რ. გველესიანმა, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილმა, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 28**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შრომითი ხელშეკრულებითა და თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული ძირითადი დატვირთვის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შესრულების შესაძლებლობის შემთხვევაში, თსუ-ის სხვა ფაკულტეტებზე დამატებითი საათობრივი დატვირთვისთვის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან შრომითი ანაზღაურება არ გაიცემა.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს მდივანი, ასოც. პროფ. მ. ნაცვალაძე